<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №15, 19.04.2005, მუხ. 96) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-3 მუხლის:**

ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მოთამაშე – პირი, რომელიც თამაშობაში მონაწილეობს მოგების მიღების მიზნით, გარდა ამ მუხლის „ბ^{1}“ და „ბ^{3}“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირებისა;“.

ბ) „ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ^{1}“ -„ბ^{4}“ ქვეპუნქტები:

„ბ^{1}) თამაშზე დამოკიდებული პირი (შემდგომ - დამოკიდებული პირი) - ფიზიკური პირი, რომელსაც გააჩნია დაუძლეველი სურვილი და დამოკიდებულება აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებზე და რომელიც შეტანილია ამ პუნქტის „ბ^{2}“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დამოკიდებულ პირთა სიაში;

ბ^{2}) დამოკიდებულ პირთა სია - აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებზე (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) დამოკიდებულ პირთა მონაცემთა ბაზა, რომელშიც პირის მონაცემების შეტანა ხდება სასამართლოს ბრძანების ან თავად ამ პირის მიერ შემოსავლების სამსახურისთვის მიმართვის საფუძველზე;

ბ^{3}) აკრძალული პირი - პირი, რომელსაც ეკრძალება აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობაში (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მონაწილეობა, მათ შორის თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში.

ამ კანონის მიზნებისთვის აკრძალული პირი არის:

ბ^{3}ა) „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით“ გათვალისწინებული საბიუჯეტო ორგანიზაციაში დასაქმებული პირები (მათ შორის, “საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო მოსამსახურე, საჯარო მოსამსახურე, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, პოლიტიკური თანამდებობის პირი);

ბ^{3}.ბ) „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მარეგულირებელ ორგანოებში დასაქმებული პირები;

ბ^{3}.გ) „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად ეროვნულ ბანკში დასაქმებული პირი;

ბ[3].დ) „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახის წევრი.

ბ[4]) აკრძალულ პირთა სია - ამ მუხლის „ბ[3]“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთა მონაცემთა ბაზა.“.

2. მე-7 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7[1] მუხლი:

„მუხლი 7[1]

1. დამოკიდებულ პირთა სიას და აკრძალულ პირთა სიას აწარმოებს შემოსავლების სამსახური. დამოკიდებულ პირთა სიაში და აკრძალულ პირთა სიაში დასაშვებია მხოლოდ საქართველოს მოქალაქის მონაცემების შეტანა.

2. დამოკიდებულ პირთა სიაში პირის მონაცემების შეტანა ხდება:

ა) თავად დამოკიდებული პირის მიმართვის საფუძველზე, რომელიც შესაბამის განაცხადს წარადგენს შემოსავლების სამსახურში დამოკიდებულ პირთა სიაში მისი მონაცემების შეტანის თაობაზე;

ბ) სასამართლოს ბრძანების საფუძველზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

3. დამოკიდებულ პირთა სიაში პირის შეტანა ხდება 5 წლის ვადით.

4. დამოკიდებულ პირთა სიიდან, პირის მონაცემების ამოღება შესაძლებელია სასამართლოს ბრძანების საფუძველზე, ამავე პირის მონაცემების დამოკიდებულ პირთა სიაში შეტანიდან არაუადრეს 3 წლისა ან „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შემთხვევაში.

5. დამოკიდებულ პირთა სიის წარმოების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნორმატიული აქტით;

6. აკრძალულ პირთა სიის წარმოების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.“.

3. მე-12 მუხლის:

პირველი პუნქტის „ვ.დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ.დ) ინტერნეტით მოწყობის შემთხვევაში – ვებგვერდის მისამართი, მოთამაშის რეგისტრაციის წესი; დეპოზიტის/ბალანსის მართვის წესი; ვებგვერდზე ქართულ ენაზე მითითებული უნდა იყოს ორგანიზატორის დასახელება, იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, ნებართვის ნომერი, თამაშობების ჩამონათვალი, თამაშის დეტალური წესები, ინფორმაცია 25 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქის ან 18 წლამდე ასაკის უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეობის არმქონე პირის, დამოკიდებულ პირთა სიაში და აკრძალულ პირთა სიაში მყოფი პირის თამაშობაში მონაწილეობის აკრძალვის შესახებ;“.

4. მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა.დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ.ა.დ) თამაშობის ინტერნეტით მოწყობის შემთხვევაში – თამაშობისთვის განკუთვნილი ვებგვერდის მისამართი, მოთამაშის რეგისტრაციის წესი, დეპოზიტის/ბალანსის მართვის წესი. აღნიშნულ ვებგვერდზე ქართულ ენაზე მითითებული უნდა იყოს თამაშობის

ორგანიზატორის დასახელება, იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, შესაბამისი ნებართვის ნომერი, თამაშობების ჩამონათვალი, თამაშობების დეტალური წესები, ინფორმაცია 25 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქის ან 18 წლამდე ასაკის უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეობის არმქონე პირის, დამოკიდებულ პირთა სიაში და აკრძალულ პირთა სიაში მყოფი პირის თამაშობაში მონაწილეობის აკრძალვის შესახებ;".

5. მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა.დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ა.დ) თამაშობის ინტერნეტით მოწყობის შემთხვევაში – თამაშობისთვის განკუთვნილი ვებგვერდის მისამართი, მოთამაშის რეგისტრაციის წესი, დეპოზიტის/ბალანსის მართვის წესი; საქართველოში რეგისტრირებული ტელეფონის ნომერი. აღნიშნულ ვებგვერდზე ქართულ ენაზე მითითებული უნდა იყოს თამაშობის ორგანიზატორის დასახელება, იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, შესაბამისი ნებართვის ნომერი, თამაშობების ჩამონათვალი, თამაშობების დეტალური წესები, ინფორმაცია 25 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქის ან 18 წლამდე ასაკის უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეობის არმქონე პირის, დამოკიდებულ პირთა სიაში და აკრძალულ პირთა სიაში მყოფი პირის თამაშობაში მონაწილეობის აკრძალვის შესახებ;".

6. 29-ე მუხლის

ა) პირველი პუნქტის:

ა.ა) „ი" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი^{1}" ქვეპუნქტი:

„ი^{1}) არ დაუშვას მოთამაშის მიერ სხვა მოთამაშის სათამაშო ანგარიშებზე თანხის გადარიცხვა/გადატანა;"

ა.ბ) „უ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „უ^{1}" და „უ^{2}" ქვეპუნქტები:

„უ^{1}) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მოწყობის ადგილზე, მათ შორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში, არ დაუშვას და არ ათამაშოს 25 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქე ან 18 წლამდე ასაკის უცხო ქვეყნის მოქალაქე/მოქალაქეობის არმქონე პირი, დამოკიდებულ პირთა სიაში და აკრძალულ პირთა სიაში მყოფი პირი;

უ^{2}) აზარტულ ან/და მომგებიან (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) თამაშობების სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში, ორგანიზატორი ვალდებულია მოთამაშის ვერიფიკაციის დღიდან ყოველწლიურად მოახდინოს პირის ხელახალი ვერიფიკაცია."

ა.გ) „ქ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ქ^{1}" ქვეპუნქტი:

„ქ^{1}) თამაშობის მოწყობის ადგილზე შესულ პირთა შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა უზრუნველყოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;"

ბ) 1^{2} პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1^{2}. ლატარიის ორგანიზატორზე ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა"–„ზ", „ი", „ი^{1}" „კ", „მ", „ჟ", „ს" და „ფ", „ქ" და „ღ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები.".

7. 32-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აკრძალულია 25 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქის ან 18 წლამდე ასაკის უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეობის არმქონე პირის აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მოწყობის ადგილას შესვლა ან/და თამაშობაში (მათ შორის, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობაში) მონაწილეობა. თამაშობის ორგანიზატორი ვალდებულია აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ადგილზე შესულ პირს მოსთხოვოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან პირის ვინაობისა და საიდენტიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი სხვა, კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული დოკუმენტის ასლი ფიზიკური ან ელექტრონული სახით და ამ დოკუმენტის მეშვეობით უზრუნველყოს აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ადგილზე შესული პირის ასაკის შემოწმება.“.

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 -1^2 პუნქტები:

„1^1. აკრძალულია დამოკიდებულ პირთა სიაში და აკრძალულ პირთა სიაში შეტანილი პირის აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მოწყობის ადგილას ან/და თამაშობაში (მათ შორის, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ ან მომგებიან თამაშობაში) მონაწილეობისთვის დაშვება.

1^2. დამოკიდებულ პირთა სიაში და აკრძალულ პირთა სიაში შეტანილი პირის შესახებ პერსონალური მონაცემები მუშავდება სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ. ამ მუხლის 1^1 პუნქტის მიზნებისთვის სსიპ - შემოსავლების სამსახური თამაშობის ორგანიზატორს, მისი მოთხოვნის საფუძველზე თამაშობაში მონაწილეობის მსურველი ყოველი კონკრეტული პირის შესახებ აწვდის ინფორმაციას მხოლოდ თამაშობაში მონაწილეობის აკრძალვის თაობაზე.“.

მუხლი 2.

იმ პირის სათამაშო ანგარიშზე განთავსებული თანხები, რომელსაც ამ კანონის ამოქმედების შედეგად ეკრძალება აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებში მონაწილეობა, წარმოადგენს ამ პირის (მოთამაშის) საკუთრებას და უბრუნდება მას (მოთამაშეს), საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 3.

საქართველოს მთავრობამ და საქართველოს ფინანსთა მინისტრმა არაუგვიანეს 2022 წლის პირველი მარტისა უზრუნველყონ ამ კანონით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების მიღება/გამოცემა.

მუხლი 4.

1. ეს კანონი, გარდა პირველი და მე-2 მუხლებისა, ამოქმედდეს 2022 წლის პირველი იანვრიდან.

2. ამ კანონის პირველი და მე-2 მუხლები ამოქმედდეს 2022 წლის პირველი მარტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი *სალომე ზურაბიშვილი*